დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №61 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 ივლისის №179, უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 ივლისის №190 და უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №307, 2021 წლის 22 ნოემბრის №13315, 2021 წლის 28 დეკემბრის №15397, 2022 წლის 18 თებერვლის № 3450, 2022 წლის 29 ნოემბრის №139461 ბრძანებებით

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი

2020

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/რეცენზენტი 3

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის /პროექტის ხელმძვანელის, ნაშრომის / პროექტის შერჩევისა და დამტკიცების და რეცენზენტის დამტკიცების წესი 4

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 5

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები 7

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია 8

მუხლი 7. აპელაცია 8

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის გაფორმების წესი 9

მუხლი 9. კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და ანონიმურობის პრინციპის დაცვა 11

დანართი 1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის დასკვნა 13

დანართი 2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტის დასკვნა 15

დანართი 3. ინფორმირებული თანხმობა 16

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს;

2. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი სრულდება წინამდებარე წესით დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით;

3. სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით;

4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვას მაგისტრანტი ახდენს დეკანის წარდგინების საფუძვლეზე ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/რეცენზენტი

1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი - ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მუშაობას, ეხმარება მას კვლევის პროექტის შემუშავებაში, წყაროების შერჩევაში, საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბებაში, საკვლევი შეკითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმირებაში, აძლევს ზოგად მითითებებს დარგის აქტუალური გამოწვევებისა და შესაბამისი მიმართულებით კვლევის განხორციელების თაობაზე. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი წერს დასკვნას ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს შესრულებული ნაშრომის რეცენზენტისთვის შესაფასებლად გადაცემის საკითხს;

2. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;

2[1]. ერთი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესაძლებელია ერთდროულად მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს:

ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის გამოცდილება. იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომი ითვალისწინებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას, ნაშრომის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პედაგოგიური მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება და ფლობდეს უფროსი მასწავლებლის სტატუსს.

4. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი - ეცნობა შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს, წერს დასკვნას ნაშრომის ტექნიკური და შინაარსობრივი შესრულების თაობაზე და განსაზღვრავს მაგისტრანტის საჯარო დაცვაზე დაშვების საკითხს;

5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზირების მიზნით ინიშნება ორი რეცენზენტი, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;

6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტი შეიძლება იყოს:

ა) ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი;

ბ) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია რეცენზენტად დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის /პროექტის ხელმძვანელის, ნაშრომის / პროქტის შერჩევისა და დამტკიცების და რეცენზენტის დამტკიცების წესი

1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ. ფაკულტეტის დეკანის მიერ საკითხის ინიცირების საფუძველზე, ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო;

2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შერჩევა ხორციელდება მაგისტრანტის მიერ ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

3. შერჩეულ სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო აკადემიური კალენდრით განსაზღვრული სალექციო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა;

4. ფაკულტეტის დეკანის მიერ საკითხის ინიცირების საფუძველზე, სამაგისტრო ნაშრომის /პროექტის რეცენზენტებს ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

2. სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასების (51-100 ქულა) მიღებით, კურსდამთავრებულს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისიწინებული კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტში.

3. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

4. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას;

5. დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარედგინება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს დასკვნის წარმოდგენის მიზნით არაუგვიანეს მე-15 კვირისა;

6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი წერს დასკვნას (დანართი 1) ნაშრომის შესრულების შესახებ და განსაზღვრავს ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემის საკითხს არაუგვიანეს მე-16 კვირისა;

7. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს რეცენზენტისთვის წარდგენამდე ამოწმებს პლაგიატზე;

8. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი მოწმდება ელექტრონული პროგრამით ,,Turnitin";

9. ხელმძღვანელი უფლებამოსილია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი/პროექტი და მისცეს რეკომენდაციები;

10. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება და მაგისტრანტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავებისა და წარდგენის უფლება;

11. ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ნაშრომი გადაეცემა ორ რეცენზენტს დასკვნის მომზადების მიზნით (დანართი 2);

12. რეცენზენტების მიერ უარყოფითი დასკვნის (არ დაიშვება საჯარო დაცვაზე) მომზადების შემთხვევაში, მაგისტრანტი არ დაიშვება ნაშრომის საჯარო დაცვაზე;

13. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, ნაშრომი გადაეცემა მესამე რეცენზენტს შესაფასებლად; მის მიერ დადებითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, ნაშრომი დაიშვება საჯარო დაცვაზე, ხოლო უარყოფითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, ნაშრომი უბრუნდება სტუდენტს რეკომენდაციების გამოსწორების მიზნით;

14. რეცენზენტის მიერ განმეორებით უარყოფითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, სტუდენტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის დაცვის უფლებას;

15. რეცენზენტების მიერ დადებითი დასკვნის (დაიშვება საჯარო დაცვაზე) მომზადების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომი / პროექტი შეფასების მიზნით გადაეცემა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას არაუგვიანეს მე-17 კვირისა;

16. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია აფასებს ნაშრომს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 5. დაცვის კომისიის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი დაცვის კომისიის წევრების მიერ ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

#	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება
1.	ნაშრომის ტექნიკური გაფორმება	• ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა • ციტირების ტექნიკის დაცვა	10 ქულა
2.	დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა	• ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან	10 ქულა
3.	კვლევის მეთოდოლოგია	• რელევანტური კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა	10 ქულა
4.	გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა	• საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია მრავალფეროვანი და ვალიდური ლიტერატურა	10 ქულა
5.	საკვლევი საკითხის რელევანტურობა	• საკვლევი პრობლემის დასმა და წარმოჩენა • თემის სიახლე და აქტუალობა	15 ქულა
6.	შედეგების /მიგნებების ანალიზი და დასკვნები	• ანალიზის სიღრმე • არგუმენტირებული დასკვნები • დასკვნის რელევანტურობა	25 ქულა
7.	პროექტის/ნაშრომის საჯარო დაცვა	• საკვლევი პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი • კვლევის სიახლის დასაბუთების უნარი • საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი • კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი • პრეზენტაციისთვის განკუთვნილი დროის რეგლამენტის დაცვა	20 ქულა
საბოლოო მაქსიმალური შეფასება			**100 ქულა**

2. თითოეული კრიტერიუმის ქულათა განაწილება განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სილაბუსით.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე;

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები (არანაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრი), კომისიის წევრი შეიძლება იყოს მოწვეული სპეციალისტი. კომისიის შემადგენლობა ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

3. კომისია უფლებამოსილია, თუ შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ესწრება კომისიის შემადგენლობის 2/3 მაინც;

4. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი;

5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა არის საჯარო. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას უნდა ესწრებოდეს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

7. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა;

8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტს შესაბამის კომპონენტებში აფასებს კომისიის თითოეული წევრი დაცვის დასრულებისთანავე, დაცვაზე მიღებული შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულის გამოთვლით;

9. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება ეცნობება მაგისტრანტს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

მუხლი 7. აპელაცია

1. მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა უფლებამოსილია შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით;

2. მაგისტრანტი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს შეფასების რომელ კრიტერიუმში/კომპონენტში არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას;

3. სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვის პროცესზე დასწრების უფლებამოსილება გააჩნია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელსა და გასაჩივრებული კომპონენტის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით;

4. სააპელაციო განაცხადის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით რექტორი ქმნის სააპელაციო კომისიას, განსაზღვრავს თავმჯდომარეს და მდივანს;

5. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 პირისგან. კომისიის ყველა წევრი უნდა ესწრებოდეს სხდომას;

6. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) დეკანი;

ბ) შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

გ) სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი;

დ) სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტი

ე) სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისიის წევრი;

7. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებას:

ა) პროექტის/ნაშრომის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე დაბრუნების და ხელახალი განხილვის შესახებ;

ბ) მიღებული შეფასების დატოვების შესახებ;

გ) დაუსაბუთებელი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

8. სააპელაციო კომისია ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით.

9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს მაგისტრანტს.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის გაფორმების წესი

1. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი კომპონენტებია:

ა) სატიტულო ფურცელი;

ბ) ხელმოწერის გვერდი;

გ) ანოტაცია;

დ) სარჩევი;

ე) შესავალი ნაწილი, რომელშიც მოცემული იქნება კვლევის საგანი, საკვლევი პრობლემა, საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი შეკითხვები, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა;

ვ) ლიტერატურის მიმოხილვა, სადაც გაანალიზებულია კვლევის საგანთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა, რის საფუძვლეზეც შესწავლილი და გაანალიზებულია კვლევის საგანთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და გამოკვეთილია საკვლევი პრობლემა და საკვლევი შეკითხვები;

ზ) ძირითადი ნაწილი, რომელშიც აღწერილია განხორციელებული კვლევა, კვლევის შედეგები და ანალიზი;

თ) დასკვნა, რომელშიც პასუხი გაეცემა შესავალში დასახულ საკვლევ შეკითხვებს, კვლევის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე ჩამოყალიბდება დასკვნები და რეკომენდაციები;

ი) ბიბლიოგრაფია.

2. სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის:

ა) ხელმძღვანელის დასკვნა;

ბ) პროგრამის ,,Turnitin" დასკვნა თანხვედრის შესახებ;

გ) რეცენზენტების დასკვნა.

3. სატიტულო ფურცელი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება (ევროპის უნივერსიტეტი);

ბ) მაგისტრანტის სახელი და გვარი სრულად, სახელობით ბრუნვაში;

გ) სამაგისტრო ნაშრომის დასახელება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სრული დასახელება;

ე) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სტატუსი (აკადემიური თანამდებობა თუ მოწვეული პერსონალის სტატუსი);

ვ) სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი და მისი შესრულების წელი.

4. ანოტაცია წარმადგენს სამაგისტრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვას და იგი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მიზნის, საკვლევი პრობლემის და კვლევის შედეგებისა და დასკვნების შესახებ; ანოტაციის ძირითადი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას და წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

5. სარჩევში უნდა აისახოს სამაგისტრო ნაშრომის თავებისა და ქვეთავების დასახელება გვერდების მითითებით.

6. სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმება:

ა) სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე. შრიფტი: Sylfaen; შრიფტის ზომა: 12; სტრიქონებს შორის მანძილი: 1,5 ინტერვალი; ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა - 3 სმ, მარჯვენა-1 სმ, ზემოთ- 2,5 სმ, ქვემოთ - 2,5 სმ; ნაშრომის მოცულობა-არანაკლებ 50 და არაუმეტეს 80 გვერდისა.

ბ) სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და ქვეთავებად.

გ) ლიტერატურის მიმოხილვაში გამოყენებულ უნდა იქნეს თანამედროვე მასალა. აუცილებელია გამოყენებული წყაროების მითითება. წყაროების მითითების მიზნით ციტირებისა და რეფერირებისთვის გამოიყენება APA სტილი.

7. ბიბლიოგრაფიაში უნდა აისახოს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა თუ წყაროების ნუსხა. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს. გამოყენებული ლიტერატურის მითითებისას გამყენებული უნდა იქნას APA სტილი.

მუხლი 9. კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და ანონიმურობის პრინციპის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის ავტორი პასუხისმგებელია დაიცვას ანონინურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპი კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

2. კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის პრინციპის დაცვის მიზნით სამაგისტრო ნაშრომის ავტორი უზრუნველყოფს ინფორმირებული თანხმობის წერილის მომზადებას (დანართი 3).

3. ინფორმირებული თანხმობის წერილი აღწერს საკვლევ პრობლემასა და კვლევის მიზანს და განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ავტორის პასუხისმგებლობას კვლევის მონაწილე რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით, და ასევე, ადასტურებს კვლევის მონაწილე რესპონდენტის თანხმობას მის მიერ გაცემული ინფორმაციის კვლევის მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით.

4. სამაგისტრო ნაშრომის ავტორი კონკრეტული კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის მხოლოდ რესპონდენტისთვის წარდგენილი კვლევის მიზნებისთვის გამოყენებას, ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას ადასტურებს ინფორმირებულ თანხმობაზე ხელის მოწერით.

5. რესპონდენტი კონკრეტული კვლევის ფარგლებში გაცემული ინფორმაციის ამავე კვლევის მიზნებისთვის გამოყენებაზე თანხმობას ადასტურებს ინფორმირებულ თანხმობაზე ხელის მოწერით.

დანართი 1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის დასკვნა

#	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება
1.	ნაშრომის ტექნიკური მხარე	• ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა; • ციტირების ტექნიკის დაცვა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
2.	დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა	• ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
3.	კვლევის მეთოდოლოგია	• რელევანტური კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
4.	გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა	• საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია მრავალფეროვანი და ვალიდური ლიტერატურა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
5.	საკვლევი საკითხის რელევანტურობა	• საკვლევი პრობლემის დასმა და წარმოჩენა; • თემის სიახლე და აქტუალობა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
6.	შედეგების /მიგნებების ანალიზი და დასკვნები	• ანალიზის სიღრმე; • არგუმენტირებული დასკვნები; • დასკვნის რელევანტურობა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი

შესრულებული სამუშაოს ვერბალური შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ მაგისტრანტის მიერ შესრულებული სამუშაო დამატებითი კომენტარების არსებობის შემთხვევაში.

სამაგისტრო ნაშრომის წესთან შესაბამისობა:

□ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი აკმაყოფილებს წესით დადგენილ ყველა მოთხოვნას

□ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი საჭიროებს ცვლილებებს წესით დადგენილ მოთხვონებთან შესაბამისაობაში მოყვანის მიზნით

ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შედეგები:

□ სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში აღმოჩენილია პლაგიატი

□ სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში არ არის აღმოჩენილი პლაგიატი

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნა:

□ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტი გადაეცეს რეცენზენტს შესაფასებლად

□ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტი დაუბრუნდეს მაგისტრანტს დასამუშავებლად

□ მაგისტრანტს ჩამოერთვას ნაშრომის გადამუშავებისა და წარდგენის უფლება

თარიღი:

ხელმძღვანელის ხელმოწერა:

დანართი 2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტის დასკვნა

#	შეფასების კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმი	შეფასება
1.	ნაშრომის ტექნიკური მხარე	• ნაშრომის ტექნიკური და გრამატიკული გამართულობა; • ციტირების ტექნიკის დაცვა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
2.	დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა	• ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
3.	კვლევის მეთოდოლოგია	• რელევანტური კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
4.	გამოყენებული წყაროები/ლიტერატურა	• საკვლევი თემის ფარგლებში შერჩეულია მრავალფეროვანი და ვალიდური ლიტერატურა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
5.	საკვლევი საკითხის რელევანტურობა	• საკვლევი პრობლემის დასმა და წარმოჩენა; • თემის სიახლე და აქტუალობა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი
6.	შედეგების /მიგნებების ანალიზი და დასკვნები	• ანალიზის სიღრმე; • არგუმენტირებული დასკვნები; • დასკვნის რელევანტურობა.	□ კარგი □ საშუალო □ ცუდი

შესრულებული სამუშაოს ვერბალური შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ მაგისტრანტის მიერ შესრულებული სამუშაო დამატებითი კომენტარების არსებობის შემთხვევაში.

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის რეცენზენტის საბოლოო დასკვნა

□ მაგისტრანტი დაშვებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საჯარო დაცვაზე

□ მაგისტრანტი არ არის დაშვებული სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საჯარო დაცვაზე

თარიღი:

რეცენზენტის ხელმოწერა:

დანართი **3.** ინფორმირებული თანხმობა

თარიღი: __ __ _____

კვლევის მოკლე აღწერა

საკვლევი პრობლემა: კვლევის მიზანი:

კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება მხოლოდ წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის, არ გადაეცემა სხვა მხარეს და დაცული იქნება ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპი.

მკვლევარის ხელმოწერა:

რესპონდენტი თანახმაა, კვლევის ფარგლებში გაცემული ინფორმაცია გამოყენებულ იქნას წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის.

რესპონდენტის ხელმოწერა: